საქართველოს კანონი

„საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999 წელი, № 22(29)) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]" ქვეპუნქტი:
„ა[1]) მობილური კომუნიკაციის საშუალება – ნებისმიერი ხელსაწყო, რომლის საშუალებით შესაძლებელია უწყვეტი სატელეფონო საუბრის წარმოება ორ ან ორზე მეტ ფიზიკურ პირს შორის ან/და ტექსტური ინფორმაციის გადაცემა და მიღება.".

2. მე-20 მუხლის:
ა) მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]" ქვეპუნქტი:
„ა[1]) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (გარდა იმ სატრანსპორტო საშუალებისა, რომლის კონსტრუქცია არ ითვალისწინებს უსაფრთხოების ღვედებს) მართვისას ისარგებლოს უსაფრთხოების ღვედით და უზრუნველყოს მისგან მარჯვენა (ან მარცხენა) მხარეს მაჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედით სარგებლობა."

ბ) მე-9 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]" ქვეპუნქტი:
„ა[1]) სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს ისარგებლოს მობილური კომუნიკაციის საშუალებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია უკიდურესი აუცილებლობით. აღნიშნული აკრძალვა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მძღოლი სარგებლობს მობილური კომუნიკაციის საშუალების ეკონომიკური ან მობილური კომუნიკაციის საშუალების ხმამაღალი *(ან დისტანციური)* საუბრის ფუნქციით და ორივე ხელი აქვს სატრანსპორტო საშუალების საჭესა და სიჩქარეთა გადამრთველზე."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2005 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი